ოქმი:**ო02.37212111**

თარიღი:**30/07/2021**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2021 წელი, 28 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00-საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, დ.ჭაკნელიძე, თ.ტუღუში, ტ.აროშიძე, გ.ჩაგანავა, გ.მდინარაძე, ლ.საჯაია, რ.სკამკოჩაიშვილი, მ.ჩხიკვიშვილი, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ღლონტი, ე.გორდელაძე.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე2020-2021 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

2. ქ.ოზურგეთში მ.კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

3. ქ.ოზურგეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძისა და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხს: პ.ჭყონია

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“; „ქ.ოზურგეთში მ.კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების

თაობაზე“; „ქ.ოზურგეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძისა და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“. კომისიის წვრებმა იმსჯელეს ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მათი წარდგენა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

თანამომხსენებელმა პავლე ჭყონიამ კომიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოთხივე სამართლებრივი აქტის პროექტი- განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს სხდომას.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი